07/08/2025

MES 8 25 0000966339

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი,24.07.2025
სხდომისდაწყებისდრო: 12:00 სთ
დასრულებისდრო: 14:17 სთ
საბჭოსთავმჯდომარე:თამარ იოსელიანი
საბჭოს მდივანი:დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით2025 წლის 24 ივლისს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. ***თამარ იოსელიანი*** - *შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.*
2. ***ზურაბ ორჯონიკიძე*** - *სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;*
3. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ***სერგო ჭელიძე - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუს“ პროფესორი;***

5. ***რიმა ბერიაშვილი*** **-** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
6. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
7. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
8. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
9. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
10. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.
11. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ნათია ზედგინიძე** - ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახაბერ ჩიხრაძე -** შპს "ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის" სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;
2. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
3. **ივანე ჩხაიძე -** კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
4. **ეკა ბოჭორიშვილი -** სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
5. **კახაბერ ვანიშვილი -** შპს "ნეოლაბის" აღმასრულებელი დირექტორი;
6. **ჯილდა ჭეიშვილი** - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
7. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
8. **ზვიად კირტავა -** შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;
9. **ნინო გაგუა -** შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სტუდენტი;

10. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
11. **ეკა ეკალაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ***ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე***
2. ***ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი***
3. ***თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი***

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი:

გიორგი ხუროძე - დაწესებულების პრეზიდენტი
ნათია ზედგინიძე - პირველი ვიცე-პრეზიდენტი
ავთანდილ გაგნიძე - პირველი ვიცე-პრეზიდენტი
დავით ბურჯანაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ფათიჰ კორტჰან - Cintana - ASU-ს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ვიცე-პრეზიდენტი
ქეთევან ხუროძე - ვიცე-პრეზიდენტი
ლელა ვანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი
ხათუნა საგანელიძე - ვიცე-პრეზიდენტი, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
მაგდა ლორთქიფანიძე - სტუდენტთა მიღების სამსახურის ხელმძღვანელი
ლანა ბოკუჩავა - მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი
ლია ხარებავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი
ლია ობგაიძე - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი
ნინო შარაშენიძე - მედიცინის სკოლის დეკანი
თემურ ხუროძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
თინათინ ბაჯელიძე - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი

მზია მაჩხოშვილი - ბიბლიოთეკის მენეჯერი
აგუედა ბენიტო - Cintana - ASU-ს აკადემიური სფეროს გლობალური მმართველი დირექტორი
ნეჟა ალამი - Cintana - ASU-ს პროექტის (ქვეყნის) დირექტორი

2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

3. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ბერიძე - რექტორი
ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

I საკითხი:
ნორა სკაბურსკიენე (თავმჯდომარე);
თამარ დოგერიძე
თამარ ვალიშვილი
ქეთევან კანკავა
გიორგი მეიძე

III საკითხი
თამთა ცხოვრებაძე (თავმჯდომარე);
ინგა ბოჭოიძე
გიორგი მერაბიშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევა ნ ინანაშვილმა დააყენა შუამდგომლობა უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. **შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
2. **„შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;**
3. **სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

1. **შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ
აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მი მართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილების შესახებ განაცხადა ნათია ზედგინიძემ

თვითაცილების მიზეზი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნორა სკაბურსკიენე, პირველ რიგში, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესი იყო ძალიან დინამიური და დაწესებულება მიილტვის განვითარებისკენ და სამედიცინო საზოგადოებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისკენ. ვიზიტი განხორციელდა მაისში და გაირკვა, რომ წინა შეფასების შემდეგ უნივერსიტეტი საგრძნობლად განვითარებულია. უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ ძლიერი და სტრატეგიული 3 და 7 წლიანი გეგმა. მან საკმაოდ ნათლად წარმოადგინა სტრატეგიული პრიორიტეტები და შესაბამისად გაწერა სამოქმედო გეგმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ მტკიცე მონიტორინგის სისტემა არის ინსტიტუციაში. უნივერსიტეტს აქვს კარგად განვითარებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. რაც შეეხება დიზაინსა და განხორციელებას, რა თქმა უნდა, საჭიროა გარკვეული შესაბამისობა სტანდარტებთან და მისი გაძლიერება ამ კუთხით. პანელმა ვიზიტის დროს შენიშნა, რომ საკმაოდ ბევრი ცვლილება განიცადა უნივერსიტეტმა. ცვლილებები შევიდა თავად სასწავლო პროცესებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სამედიცინო პროგრამა არის გადახედილი, შესწორებული და ინტეგრირებული. ექსპერტებმა შენიშნეს ისიც, რომ დაწესებულებას ძლიერ აქვს განვითარებული სტუდენტთა კარიერული დახმარების ცენტრი. ასევე მომუშავე პერსონალი არის მაღალკვალიფიცირებული. უნივერსიტეტს გააჩნია თავისი სასწავლო კლინიკა, რომელიც, რა თქმა უნდა, კლინიკური სწავლების განხორციელებაში ეხმარება ინსტიტუციას. უნივერსიტეტში საკმაოდ განვითარებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, არის ძალიან კარგი ლაბორატორიები და სიმულაციის ოთახები. უნივერსიტეტს აქვს გასავითარებელი მხარეებიც, რის გამოც გაიცა რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგი გეგმა აქვს დაწესებულებას, მაინც არის გარკვეული შეუსაბამობა მისიასა და მიმდინარე საგანმანათლებლო აქტივობებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პროფილი არის სამედიცინო კუთხით სწავლება, უნივერსიტეტის მისია არის ზოგადი და არ აკეთებს ფოკუსირებას ამ სამედიცინო კუთხით აქტივობებზე. მსოფლიო ერთიანი სამედიცინო სტანდარტების მიხედვით, უნივერსიტეტმა ძალიან ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი სტრატეგიული განვითარება სწორედ ამ სამედიცინო კუთხით. თუმცა უნივერსიტეტის მისია არის საკმაოდ მრავალფეროვანი და ის სათანადო აქცენტს არ აკეთებს ჯანდაცვაზე და ჯანდაცვის კუთხით მის მთავარ მისიაზე. ასევე გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ უფრო მკაფიოდ ჩართოს დაინტერესებული პირები სტრატეგიული მისიისა და გეგმის შემუშავების პროცესში. იმისთვის რომ უნდა გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგვმის პროცესი, სასურველია, მოხდეს უფრო ფართო სპექტრის წარმოჩენა გარე დაინტერესებული

მხარეებისა, რათა უზრუნველყოს მრავალფეროვანი პერსპექტივა. ასევე, აკადემიური პერსონალი უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული და წარმოდგენილი აკადემიურ საბჭოში. აკადემიურ საბჭოში მოხვედრის სტანდარტები უფრო ნათელი უნდა იყოს დოკუმენტაციაში. ასევე რეკომენდებულია, რომ აკადემიური საბჭო უფრო ნათლად იყოს ჩართული ხარისხის კონტროლის პროცესში, როგორც მის ფუნქციებშია განსაზღვრული. იმისათვის, რომ დაწესებულებამ გაზარდოს თავისი აკადემიური და კვლევითი უნარიანობა უფრო მეტად უნდა მიიზიდოს აკადემიური პერსონალი და გაზარდოს აფილირებული პერსონალის ოდენობა. კვლევის სფეროს უფრო განსაკუთრებული ყურადღების დათმობა ესაჭიროება. ამისათვის უნივერსიტეტმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კვლევითი პროექტების განხორციელებას და მასში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის ცენტრალიზებას. ასევე, მეტად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია და უნდა გამოქვეყნდეს ის საჯაროდ. უნივერსიტეტმა უფრო მეტად უნდა გამოიჩინოს ინიციატივა, რომ ჩართოს თავისი პერსონალი და სტუდენტები საერთაშორისო კვლევით პროექტში. ასევე უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს გარკვეული სამოქმედო სტრატეგიული გეგმა იმისთვის, რომ ასახოს სტატისტიკური მონაცემები. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა კვლევითი პროექტების დროს გამოიყენონ ლაბორატორიები, რათა მათ კვლევით საქმიანობას შეუწყოს ხელი. დაწესებულებამ ასევე უნდა გაამრავალფეროვნოს თავისი სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს მათ კვლევით აქტიურობაში ჩართულობას. მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა აჩვენა მზაობა რეკომენდაციების გაზიარებისა პროგრამის განვითარების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების პრეზიდენტმა, გიორგი ხუროძემ აღნიშნა, რომ 2 წელიწადზე მეტი დასჭირდა არიზონასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტს მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისთვის და აღნიშნული დროის განმავლობაში უნივერსიტეტში შემუშავდა ახალი მისია, ხედვა და ერთობლივი სტრატეგიები, რის შემდეგაც გაფორმდა სალიცენზიო შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტს მიენიჭა შემდეგი უფლებები: არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის გამოყენების, სასწავლო მასალებზე წვდომის, ერთობრივი ორმაგი ხარისხის კვლევითი და სასერთიფიკატო პროგრამების განხორციელების. ეს ყოველივე საგრძნობლად გაზრდის დასაქმების შანსებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, რომ მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება საქართველოში. ასევე იგეგმება 7000 სტუდენტის მოზიდვა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტები თანამშრომლობის განვალობაში ყოველწლიურად შეიმუშავებენ ახალ პროგრამებს. ახალ პროგრამაზე შესაძლებელი იქნება 500 სტუდენტის მიღება. აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვნად განახლდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. ბოლო ინფორმაციით ინგლისურენოვან სამედიცინო პროგრამაზე ჩარიცხულია დაახლოებით 600 სტუდენტი და შემოსულია 1000-მდე აპლიკანტის განაცხადი.

არიზონას უნივერსიტეტის წარმომადგენელმა წარადგინა ხელშეკრულების დეტალები აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეთთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს წევრმა ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია საკმაოდ განვითარებულია. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა იყო თუ არა მედიცინაში დუალური პროგრამები. ასევე აინტერესებდა კვლევითი საქმიანობის დაფინანსება ვის მიერ მოხდება. ასევე მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ისიც, რომ 7000 სტუდენტიდან რამდენია

მედიცინის სტუდენტებისთვის განსაზღვრული კვოტა. ექსპერტებს კი მიმართა კითხვით და აინტერესებდა თუ რამდენად მზად იყო სტუდენტთა ამ რაოდენობის მიღებისთვის დაწესებულება.
დაწესებულების წარმომადგენელა აღნიშნა, რომ დუალური პროგრამები ძირითადად იგეგმება ბიზნესისა და ტეგნოლოგიური მიმართულებით, რადგან სამედიცინო კუთხით პროგრამები იშვიათია, ამიტომ სამედიცინო მიმართულებით იქნება უფრო გაცვლითი პროგრამები.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ორმაგი დიპლომი არ გულისხმობს მხოლოდ პროგრამების გადმოტანას, არამედ მოიცავს ძალიან კარგ სამეცნიერო გამოცდილებას. უნივერსიტეტი ისევ ისე, როგორც აქამდე არსებობდა, არის დამოუკიდელები ერთეული და შესაბამისად, დაფინანსება ხდება სწორედ ინტიტუციის მიერ. სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას მედიცინის პროგრამაზე განსაზღვრული აქვს 2000 სტუდენტის მიღება.
საბჭოს წევრმა ლევან მიდოდაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებასა და ექსპერტებს მესამე სტანდარტთან მიმართებით. მისი აზრით აღნიშნული შეფასება არ არის რელევანტური არც დაწესებულების და არც ექსპერტთა მხრიდან. მან აღნიშნა, რომ როგორც დასკვნაში, ისე თვითშეფასების დოკუმენტში საუბარია სწავლის შედეგების შეფასებაზე, რაც რეალურად არ წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტების შესაფასებელ საკითხს და წარმოადგენს აკრედიტაციისას. აქ საბჭოს წევრებს აინტერესებდათ იყო თუ არა შეფასების სისტემა უნივერსიტეტში და შეესაბამებოდა თუ არა საქართველოს კანონმდებლობას.
ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ ეს სტანდარტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი ყველა მოთხოვნასთან. რაც შეეხება შეფასების სისტემასთან გაცემულ ერთ შეფასებას, დღესდღეობით უნივერსიტეტს აქვს ერთი, სამედიცინო პროგრამა, ამიტომ ექსპერტები დააკვირდნენ იმას, თუ რამდენად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას შეფასების სტანდარტები. სამედიცინო კუთხით არსებული შეფასების სისტემა დასახვეწია დაწესებულების მიერ, რადგან უფრო მეტად უნდა ითვალისწინებდეს შეფასების სპეციფიკურ მეთოდებს. ამ რეკომენდაციას იზიარებს დაწესებულებაც.
დავით ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიმდინარე წლის თებერვალში ჩაბარდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, რაც წინ უძღვოდა უკვე ავტორიზაციის ვიზიტს. ამიტომ ის მიმართულებები, რომლებიც უკვე დაფარული იყო ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ, რა თქმა უნდა, მიიღო მხედველობაში.
საბჭოს წევრმა ზვიად კირტავამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა იყო თუ არა სტუდენტთა 2000-იანი კვოტა შეფასებული აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ. ასევე მას აინტერესებდა ექსპერტთა მხრიდან თუ მოხდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება.
ექსპერტმა თამარ გოდერიძემ აღნიშნა, რომ კვოტასთან დაკავშირებით თავად უნივერსიტეტმა წარმოადგინა თვალსაჩინო მოდელი, რომლითაც გადაფარული აქვთ ყველა მიმართულება, როგოც საბაზისო, ისე კლინიკური მიმართულება. ექსპერტები ადგილზე გაეცნენ ყველა იმ პრაქტიკოს ექიმს, რომელიც ჩართულები იქნებიან სწავლების პროცესში. ამ გადმოსახედიდან ექსპერტთა გუნდს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტი მზადაა გაუმკლავდეს 2000 სტუდენტს.
თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა იცოდნენ კვოტის რაოდენობის შესახებ და შესაბამისად შეფასდა ყველა სტანდარტი. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ, რა თქმა უნდა, მოხდა დასკვნის გადახედვა და კორექტირება.
საბჭოს წევრმა რიმა ბერიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მათ აღნიშნული ჰქონდათ, რომ კილინკური ბაზა არ შეესაბამებოდა საუნივერსიტეტო კლინიკას, შესაბამისად მას აინტერესებდა რა იგულისხმებოდა კლინიკურ ბაზაში.
თამარ გოდერიძემ აღნიშნა, რომ არა მხოლოდ ბალნეოლოგიური კლინიკა, არამედ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მთლიანად ალადაშვილის სახელობის კლინიკა ბაზად,

სადაც ყველა მომუშვე ექიმი ჩართულია თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე შესაბამის სფეროში. როგორც გაირკვა, ალადაშვილის კლინიკას სხვა უნივერსიტეტებთან არ აქვს მემორანდუმები, შესაბამისდ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტები ვერ მოხვდებიან ბაზაში.
გიორგი ხუროძემ არიზონას უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სალიცენზიო შეთანხმება სხვა პროგრამებსაც მოიცავს და იქნება როგორც სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები, ასევე კვლევითი მიმართულებით თანამშრომლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ყოფილა. იყო მხოლოდ ერთი რჩევა/რეკომენდაცია გაცემული. ვინაიდან საზიარო პროფესორები საქართველოში ძალიან ბევრია, ამიტომ ის შეთანხმება რაც დაწესებულებას აქვს არიზონას უნივერსიტეტთან არის მეტად საინტერესო და მრავლისმომცველი.
მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა აკადემიური წარმატების მონიტორინგის შედეგებით როგორ მოხდა ლოგბუქების საჭიროების გამოკვეთა და ვინ განახორციელა დატრენინგება?
ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილია დიპლომის შემდგომი განათლების დატრენინგების ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს უცხოელი პროფესორი და ასევე კონტრაქტებია დადებული ჩეხეთში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან რომ ინსტიტუციაში ყოველწლიურად ჩატარდეს ტრენინგები, რასაც ითვალისწინებს დარგობრივი სტანდარტი და როგორც აკადემიურმა, ისე მოწვეულმა პერსონალმა, მინიმუმ 2 წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი. შესაბამისად, შედგენილია შესაბამისი ცხრილი, რომლის მიხედვითაც პერსონალი გადის ტრენინგებს, თუმცა ცხრილის მიღმა ტრენინგებში მონაწილეობა წახალისებულია უნივერსიტეტის მიერ. ასევე OSCE-ს ქეისებსაც დაწესებულება იღებს საერთაშორისო ალიანსისგან და უნივერსიტეტი მუშაობს იმაზეც, რომ აკადემიური პერსონალი გადამზადდეს OSCE-ს ქეისების მომზადებაშიც და არამხოლოდ სწავლებაში.
დავით ბურჯანაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ თუ ხარისხის ნაწილში იყო რაიმე საკითხის დაზუსტების საჭიროება, ის მზად იყო ეპასუხა შეკითხვებისთვის.
ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მისი შეკითხვა ეხებოდა აკადემიური წარმატების მონიტორინგის შედეგების საფუძველს, რამაც გამოიწვია ლოგბუქების სჭიროება, რაზეც ხათუნა საგანელიძემ განმარტა, რომ რადგან აკადემიურ მოსწრებაში კომპონენტებად არის დაყოფილი უნარები და თეორიული ცოდნა, უნარებში კი ცოტა მოიკოჭლებდა სტუდენტთა დიდი რაოდენობა, რაშიც იგულისხმება როგორც ვერბალური ისე წერილობითი კომუნიკაციის უნარები, ასევე დოკუმენტწარმოების ნაწილიც ასახავდა აღნიშნულ მდგომარეობას. გარდა ამისა, დამონიტორინგდა ის საკითხიც, კონკრეტულმა სტუდენმა რამდენი პაციენტი მიიღო და რატომ გავიდა კონკრეტულ შედეგზე.
ჯილდა ჭეიშვილმა მადლობა გადაუხადა ინსტიტუციას ინფორმაციის გაზიარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 13:15
დასრულების დრო: 13:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის და 1 წელში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

ძირითადი საბჭო - მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

მოწვეული საბჭო - მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტს (ს/კ: 404535810) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით. "მედიცინის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 600-ით. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი, 2026 წლის 24 ივლისამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 24 ივლისი.

2. „შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გა დაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევა ნ ინანაშვილმა დააყენა შუამდგომლობა. საკითხი ეხებოდა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ცენტრში შემოსულ წერილს, რომლის მიხედვით დაწესებულება ითხოვდა ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორებას. წერილის მიხედვით, გადაწყვეტილებაში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ცალკე არ იყო გამოყოფილი ბათუმის წარმომადგენლობისთვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობა. რადგან ბათუმის და თბილისის მისამართები თვითშეფასების ანგარიშში ცალ-ცალკე იყო განხილული, ასევე, ვიზიტი განხორციელდა ბათუმის მისამართზეც, დაწესებულება ითხოვს, რომ სტუდენტთა როდენობის განსაზღვრაც ცალ-ცალკე მოხდეს თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად, კერძოდ, ბათუმის მისამართზე 700 სტუდენტის, ხოლო თბილისის მისამართზე - 3500 სტუდენტის. ამ სახით ცალ-ცალკე იყო განსაზღვრული აგილების რაოდენობა 2018 წლის ავტორიზაციის დროსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 13:51
დასრულების დრო: 13:53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
ძირითადი საბჭო - მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

მოწვეული საბჭო - მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №51863 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 200002120) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 4 200-ით, აქედან ქ. ბათუმის მისამართზე 700 სტუდენტით, ხოლო ქ. თბილისის მისამართზე, 3500 სტუდენტით, მათ შორის ქ. თბილისის მისამართზე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 950-ით.

13:53 საათზე, საბჭოს წევრმა, ქრისტინა რზგოევამ დატოვა საბჭოს სხდომა, ასევე სხდომა დატოვეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა.

3. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• კი
თვითაცილების შესახებ განაცხადა ლევან მიდოდაშვილმა.

თვითაცილების მიზეზი შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო ავტორიზაციის არაგეგმიური შეფასება, შესაბამისად შესწავლილ იქნა ინსტიტუციის მიმდინარე მდგომარეობა. ყველა სტანდარტთან მიმართებით განხორციელდა შეფასება გარდა მესამისა. აღსანიშნავია, რომ წინა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები მიიღოო დაწესებულებამ და დაწყებულია მუშაობა ამ კუთხით. ვიზიტისას გამოიკვეთა ისიც, რომ გათვალისწინებულია რჩევათა დიდი ნაწილი. არის გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც შეფასდა მეტწილად შესაბამისი, თუმცა ამ კუთხითაც მუშაობს ინსტიტუცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

რადგან უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს არ გამოუთქვამთ დამატებითი მოსაზრებები, საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 13:55
დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შესახებ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ

დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:424066977) მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 14:17 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ